საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2020

აგვისტო

21.09.2020

www.geostat.ge

21.09.2020

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2020 წლის აგვისტო

2020 წლის აგვისტოში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.05 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სახეზეა ინდექსის 4.9 პროცენტიანი ზრდა.

2020 წლის ივლისთან შედარებით ფასები 0.4 პროცენტით შემცირდა **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის** ჯგუფზე, რამაც -0.33 პროცენტული პუნქტით იქონია ზეგავლენა ჯამური ინდექსის ცვლილებაზე. ჯგუფში შემავალი პროდუქტებიდან აღსანიშნავია ფასების კლება ძირითად ლითონებზე (-4.9 პროცენტი). ამავე პერიოდში ფასები გაიზარდა **ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის** ჯგუფზე (3.3 პროცენტი), რამაც 0.31 პროცენტული პუნქტი შეიტანა ინდექსის ცვლილებაში.

12 თვიან პერიოდში ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

- **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 4.7 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის ზრდაზე 3.81 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: კვების პროდუქტები (6.7 პროცენტი), სასმელები (5.0 პროცენტი) და სხვა არალითონური მინერალური პროდუქტები (7.3 პროცენტი);

- **სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება:** ფასები გაზრდილია 19.6 პროცენტით, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე 1.07 პროცენტული პუნქტით აისახა. ჯგუფში აღსანიშნავია ფასების ზრდა ლითონის მადნებზე (28.3 პროცენტი);

- **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი:** ფასები გაიზარდა 0.4 პროცენტით, რამაც მთლიან ინდექსზე 0.03 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა.

21.09.2020

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და მის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2020 წლის აგვისტო

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის ივლისთან	წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2019 წლის აგვისტოსთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**100.0**	**0.05**	**104.9**	**4.86**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება**	**101.2**	**0.07**	**119.6**	**1.07**
5	ნახშირი და ლიგნიტი	100.6	0.00	75.8	-0.07
6	ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი	122.5	0.02	65.0	-0.06
7	ლითონის მადნები	100.9	0.05	128.3	1.12
8	სამთო-მოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქტები	100.6	0.01	105.4	0.08
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**99.6**	**-0.33**	**104.7**	**3.81**
10	კვების პროდუქტები	100.2	0.04	106.7	1.50
11	სასმელები	101.1	0.20	105.0	0.90
12	თამბაქოს პროდუქტები	100.0	0.00	100.0	0.00
13	ტექსტილი	99.2	0.00	103.9	0.01
14	ტანსაცმელი	100.2	0.00	102.6	0.04
15	ტყავი და ტყავის ნაწარმი	100.0	0.00	99.0	0.00
16	მერქანი და მერქნის და კორპის ნაწარმი, ავეჯის გარდა; ნაკეთობები ჩალის და წნული მასალებისგან	99.3	0.00	103.5	0.02
17	ქაღალდი და ქაღალდის პროდუქტები	99.0	-0.01	94.8	-0.24
18	მომსახურება ბეჭდვით და ჩანაწერების აღწარმოებით	107.2	0.09	...	...
19	კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები	110.3	0.01	71.0	-0.01
20	ქიმიკატები და ქიმიური პროდუქტები	100.4	0.01	101.5	0.05
21	ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტები და ფარმაცევტული პრეპარატები	100.3	0.00	125.0	0.37
22	რეზინის და პლასტმასის პროდუქტები	100.4	0.01	103.4	0.09

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

21.09.2020

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის ივლისთან	წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2019 წლის აგვისტოსთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
23	სხვა არალითონური მინერალური პროდუქტები	99.3	-0.05	107.3	0.61
24	ძირითადი ლითონები	95.1	-0.65	98.5	-0.25
25	ლითონის მზა ნაწარმი, მანქანების და მოწყობილობების გარდა	99.8	0.00	107.5	0.14
27	ელექტრომოწყობილობები	100.0	0.00	97.8	-0.03
28	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	100.1	0.00	119.9	0.11
30	სხვა სატრანსპორტო მოწყობილობები	100.0	0.00	...	...
31	ავეჯი	100.2	0.00	103.2	0.04
32	სხვა სამრეწველო საქონელი	103.1	0.01	103.4	0.01
33	მომსახურება მანქანების და მოწყობილობების რემონტით და მონტაჟით	100.0	0.00	...	...
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**103.3**	**0.31**	**100.4**	**0.03**
35	ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი	103.3	0.31	100.4	0.03
E	**წყალმომარაგება; კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**100.0**	**0.00**	**98.1**	**-0.06**
36	ბუნებრივი წყალი, მომსახურება წყლის გაწმენდით და მომარაგებით	100.0	0.00	100.0	0.00
38	მომსახურება ნარჩენების შეგროვებით, დამუშავებით და მოცილებით; მომსახურება მასალების უტილიზაციით	100.0	0.00	57.9	-0.06

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი
(წინა თვე = 100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი
(წინა წლის შესაბამისი თვე =100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი
(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)



საკონტაქტო პირი:
გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge